

ბრიტიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია
ლიმიტედის საქართველოს, თბილისის
წარმომადგენლობა

2018 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობის აქციონერს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, ასევე შენიშვნებს, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „მმართველობით ანგარიშზე“. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი დასკვნა არ მოიცავს „მმართველობით ანგარიშს“.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს „მმართველობითი ანგარიშის“ წაკითხვას და იმის განსაზღვრას, არის თუ არა „მმართველობითი ანგარიში“ არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებული ცოდნასთან მიმართებაში, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის რწმუნებას „მმართველობითი ანგარიშის“ შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ „მმართველობითი ანგარიში“ და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობითი ანგარიში“:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია და შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოვგვამო დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნი, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ



ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი



ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia”
27 სექტემბერი 2019



*ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

'000 ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
აქტივები				
ძირითადი საშუალებები		1,171	1,052	1,238
გრძელვადიანი აქტივები		1,071	1,052	1,238
მარაგები	8	22,648	16,579	31,143
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	991	12,068	16,794
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	6,399	410	9,482
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		-	72	134
მიმდინარე აქტივები		30,038	29,129	57,553
სულ აქტივები		31,209	30,181	58,791
კაპიტალი				
დამატებითი შენატანები კაპიტალში	11	2,293	-	-
დაგროვილი ზარალი		(36,954)	(21,875)	(17,008)
სხვა რეზერვები		-	72	134
სულ კაპიტალი		(34,661)	(21,803)	(16,874)
ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	13	-	-	26,468
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	26,468
სესხები და კრედიტები	13	34,639	34,412	8,231
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	31,231	17,573	40,966
მიმდინარე ვალდებულებები		65,870	51,984	49,197
სულ ვალდებულებები		65,870	51,984	75,665
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		31,209	30,181	58,791

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და
წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 – 31 გვერდებზე.

ბრითიშ ამერიქსნ ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს თბილისის წარმომადგენლობა
2018 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

’000 ლარი	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		178,050	213,461
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	5	(166,197)	(192,924)
სულ მოგება		11,853	20,537
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა გასამრჯელოები		(7,435)	(3,992)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები		(313)	(293)
სხვა საოპერაციო ხარჯი	6	(15,634)	(17,473)
საოპერაციო ხარჯები		(11,529)	(1,221)
ფინანსური შემოსავალი		104	861
ფინანსური ხარჯები		(3,654)	(4,507)
წმინდა ფინანსური ხარჯები	7	(3,550)	(3,646)
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(15,079)	(4,867)
წლის ზარალი		(15,079)	(4,867)
სხვა სრული ზარალი			
ზარალი წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე		(72)	(62)
სულ წლის სხვა სრული ზარალი		(72)	(62)
წლის მთლიანი სრული ზარალი		(15,151)	(4,929)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელი, კავკასია და მოლდავეთი	კორპორატიული ფინანსური მენეჯერი, კავკასია
კატერინა კუჩალა	ირაკლი ბაიამე

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 -31 გვერდებზე.

*ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობა
2018 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება*

'000 ლარი	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან		178,050	213,461
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	5	(166,197)	(192,924)
სულ მოგება		11,853	20,537
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა გასამრჯელოები		(7,435)	(3,992)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები		(313)	(293)
სხვა საოპერაციო ხარჯი	6	(15,634)	(17,473)
საოპერაციო ხარჯები		(11,529)	(1,221)
ფინანსური შემოსავალი		104	861
ფინანსური ხარჯები		(3,654)	(4,507)
წმინდა ფინანსური ხარჯები	7	(3,550)	(3,646)
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(15,079)	(4,867)
წლის ზარალი		(15,079)	(4,867)
სხვა სრული ზარალი			
ზარალი წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე		(72)	(62)
სულ წლის სხვა სრული ზარალი		(72)	(62)
წლის მთლიანი სრული ზარალი		(15,151)	(4,929)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

ფინანსური განყოფილების
ხელმძღვანელი, კავკასია და
მრლდავეთი

კატერინა კუჩალსა

კორპორატიული ფინანსური
მენეჯერი, კავკასია

ირაკლი ბაიაძე

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 -31 გვერდებზე.

*ბრითიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობა
2018 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება*

'000 ლარი	დაგროვილი ზარალი	სხვა რეზერვები	დამატებითი შენატანები კაპიტალში	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	(17,008)	134	-	(16,874)
სულ სრული შემოსავალი				
წლის ზარალი	(4,867)	-	-	(4,867)
სხვა სრული შემოსავალი				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი	-	(62)	-	(62)
სულ წლის სრული შემოსავალი	(4,867)	(62)	-	(4,929)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	(21,875)	72	-	(21,803)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	(21,875)	72	-	(21,803)
სულ სრული შემოსავალი				
წლის ზარალი	(15,079)	-	-	(15,079)
სხვა სრული შემოსავალი				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი	-	(72)	-	(72)
სულ წლის სრული შემოსავალი	(15,079)	(72)	-	(15,151)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან დამატებითი შენატანები კაპიტალში (შენიშვნა 11)	-	-	2,293	2,293
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	(36,954)	-	2,293	(34,661)

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 – 31 გვერდებზე.

*ბრითიშ ამერიქსნ ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობა
2018 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება*

000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის ზარალი დაბეგვრამდე		(15,079)	(4,867)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთასა და ამორტიზაციაში		313	293
წმინდა ფინანსურ ხარჯში		3,550	3,646
		(11,216)	(928)
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგებში		(6,069)	14,564
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		11,077	4,726
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		13,805	(23,441)
ვალდებულებების და დარიცხვების სხვა ანარიცხებში		(166)	47
საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები / (საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები)		7,431	(5,032)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
მიღებული პროცენტი		129	85
ძირითადი საშუალებების შეძენა		(432)	(107)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(303)	(22)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ამონაგები სესხებიდან		33,372	30,750
სესხების დაფარვა		(34,171)	(30,424)
გადახდილი პროცენტი		(324)	(4,475)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,123)	(4,149)
წმინდა მატება/ (კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		6,005	(9,203)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		410	9,482
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაცვლით კურსებში მოძრაობის გავლენა		(16)	131
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	10	6,399	410

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 – 31 გვერდებზე.

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

„კომპანიის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, „კომპანია“ დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

„კომპანია“ არის „ბრიტთიმ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის“ წარმომადგენლობითი ოფისი, რომელიც რეგისტრირებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში. კომპანია 2001 წლის 11 მაისს დაფუძნდა.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: ვაჟა-ფშაველას გამზირი №71, საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო; კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 211401160.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში სიგარეტის იმპორტი და რეალიზაცია კომპანიას მთლიანად ფლობს „ბრიტთიმ ამერიქან ტობაკო ლიმიტედი (UK)“ (პირდაპირი მშობელი). კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „British American Tobacco PLC“. ეს უკანასკნელი საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც შესულია ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგში და დაფუძნებულია და მდებარეობს გაერთიანებულ სამეფოში.

კომპანიის მიმწოდებლები არიან „British American Tobacco PLC“-ს მმართველობის ქვეშ შემავალი ჯგუფის საწარმოები.

გარდა ამისა, ძირითადად კომპანიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენენ ჯგუფში შემავალი საწარმოები, შესაბამისად კომპანიის საკრედიტო რისკიც მათთან არის დაკავშირებული. შედეგად, კომპანია ეკონომიკურად არის დაკავშირებული „British American Tobacco PLC“-ს მმართველობის ქვეშ მყოფ ჯგუფზე. ამასთან, კომპანიის საქმიანობები მჭიდროდ უკავშირდება „British American Tobacco PLC“-ს მმართველობის ქვეშ მყოფი ჯგუფის მოთხოვნებს. ყველა პოლიტიკისა და პროცედურის გაზიარება ხდება სათაო ოფისიდან. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-16 შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად. წინამდებარე დოკუმენტი „კომპანიის“ ფასს-ების შესაბამისად მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგებაა და მასში გამოყენებულია ფასს 1 (*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება*).

კომპანიას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების მიღებამდე. შესაბამისად, წარმოდგენილი არ არის განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოქმედებს ფასს-ებზე გადასვლა წარმოდგენილ ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ებთან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობის აზრით, სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან მიმართებაში ადგილი არ აქვს ისეთ კრიტიკულ მსჯელობებს, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ასევე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების განხორციელების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც თვალსაჩინოა აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია აღიარებს მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში - სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება.

5. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

'000 ლარი	2018	2017
ბაჟი, აქციზი და სხვა გადასახადები	136,482	156,257
გაყიდული სიგარეტის ღირებულება	28,113	35,761
მოხმარებული აქციზური მარკები	1,602	906
	166,197	192,924

6. სხვა საოპერაციო ხარჯი

'000 ლარი	2018	2017
BAT ერთობლივი მომსახურების საფასური	5,640	5,971
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯი	2,622	3,233
ხელშეკრულებით მომუშავეთა ხელფასები	1,857	1,200
მარაგის ჩამოწერა	1,608	295
როიალტი	1,312	1,182
წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯი	818	1,249
საიჯარო ხარჯი	576	489
პროფესიული საზღაური	430	1,239
სხვა საოფისე ხარჯი	198	532
სააგენტოს პროექტის საფასური	48	372
სხვა	525	1,711
	15,634	17,473

7. წმინდა ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2018	2017
მოგებაში ან ზარალში აღიარებული		
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა შემოსულობა	-	775
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	104	86
ფინანსური შემოსავალი	104	861
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური		
ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	(2,420)	(4,507)
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი	(1,234)	-
ფინანსური ხარჯი	(3,654)	(4,507)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯი	(3,550)	(3,646)

8. მარაგები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გადასაყიდი საქონელი	22,637	16,563	31,134
სხვა მარაგები	11	16	9
	22,648	16,579	31,143

ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით მარაგები არ არის დაგირავებული ან რაიმე სახით შეზღუდული მესამე პირების მიმართ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	450	10,648	16,217
სხვა მოთხოვნები	-	367	423
სხვა ავანსები	541	1,053	154
	991	12,068	16,794

კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია მე-13 შენიშვნაში.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
საბანკო ნაშთები	6,399	410	9,482
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის და ფულადი სახსრების მომძრაობის ანგარიშგებაში	6,399	410	9,482

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებულ მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-13 შენიშვნაში.

11. სესხები და კრედიტები

მოცემულ შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია კომპანიის პროცენტის სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზირებული ღირებულებით ფასდება. საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე კომპანიის დაქვემდებარების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-13 შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გრძელვადიანი ვალდებულებები			
არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან	-	-	26,468
	-	-	26,468
მიმდინარე ვალდებულებები			
არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან	34,639	26,240	8,231
არაუზრუნველყოფილი საბანკო სესხები	-	8,172	-
	34,639	34,412	8,231
	34,639	34,412	34,699

(a) სესხის ვადები და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2018	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან	აშშ დოლარი	0%	2019	34,840	34,639
სულ პროცენტის მატარებელი ვალდებულებები				34,840	34,639

ბრითიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობა
ვინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2017	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
		აშშ დოლარი 6m LIBOR განაკვეთი + 4%; აშშ დოლარი 6m LIBOR განაკვეთი +			
არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან	აშშ დოლარი	8% (2016 წლის 25 ნოემბრის შემდეგ)	2018	12,961	12,961
არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან	აშშ დოლარი	აშშ დოლარი 6m LIBOR განაკვეთი + 8%	2018	13,279	13,279
არაუზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ლარი	9%	2018	8,172	8,172
სულ პროცენტის მატარებელი ვალდებულებები				34,412	34,412

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	1 იანვარი 2017	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
		აშშ დოლარი 6m LIBOR განაკვეთი + 4%; აშშ დოლარი 6m LIBOR განაკვეთი +			
არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან	აშშ დოლარი	8% (2016 წლის 25 ნოემბრის შემდეგ)	2018	13,234	13,234
არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან	აშშ დოლარი	აშშ დოლარი 6m LIBOR განაკვეთი + 8%	2018	21,465	21,465
სულ პროცენტის მატარებელი ვალდებულებები				34,699	34,699

2018 წლის იანვარში, კომპანიამ მიიღო სესხი პირდაპირი მშობელი კომპანიისგან (BAT Georgia Limited) 13,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და გადაიხადა ყველა კრედიტი. სესხს აქვს 0%-იანი საპროცენტო განაკვეთი და დაფარვის ვადა არის 2019 წლის ნოემბერი.

რადგან კომპანიამ სესხი მშობელი კომპანიისგან არა-საბაზრო პირობებზე აიღო, კომპანიამ აღიარა 2,293 ათასი ლარის ოდენობით დამატებითი შენატანი კაპიტალში. დამატებითი შენატანის ოდენობა გამოწვეული იყო საბაზრო პროცენტსა და სესხის პროცენტს შორის არსებული სხვაობით. სესხის საპროცენტო განაკვეთი არის 8.4%-ი და დაფუძნებულია იურიდიული საწარმოების, 2018 წლის იანვრის საშუალო საბაზრო განაკვეთზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა სესხები „BATIF Dollar limited“-სგან 10,000 აშშ დოლარის ოდენობით და სს თიბისი ბანკისგან 8,500 ათასი ლარის ოდენობით. სესხს აქვს საბაზრო პირობები.

(b) ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება

000 ლარი	2018	2017
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	34,412	34,699
ამონაგები სესხებიდან	33,372	30,750
სესხების დაფარვა	(34,171)	(30,424)
გადახდილი პროცენტი	(324)	(4,475)
სულ ცვლილება ფინანსური ფულადი ნაკადებიდან	(1,123)	(4,149)
დამატებითი შენატანი კაპიტალში	(2,293)	-
ზარალი/(შემოსულობა) უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	1,569	(645)
საპროცენტო ხარჯი	2,074	4,507
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	1,350	3,862
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	34,639	34,412

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	01 იანვარი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	6,842	5,716	11,333
სხვა ვალდებულებები	4,940	3,699	2,932
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	19,449	8,157	26,701
	31,231	17,572	40,966

სხვა საგადასახადო ვალდებულებები ძირითადად შედგება ვალდებულებისგან იმპორტირებულ საქონელზე, რადგან მთლიანი პროდუქცია იმპორტირებულია.

კომპანიის დაქვემდებარება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე განხილულია მე-13 შენიშვნაში.

13. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება აქტივის გაყიდვით მიღებული ან ვალდებულების გადასაცემად გადასახდელი ფასის მისაახლოებლად ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ ჩვეულებრივ ოპერაციაში შეფასების დღეს. თუმცა, გაურკვევლობების და სუბიექტური მსჯელობის გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი ღირებულება აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

კომპანიამ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით განსაზღვრა. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრებამდე მისვლა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადახდებოდა ვალდებულების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული საშემფასებლო ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება გაანგარიშდება ძირითადი თანხის და საპროცენტო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც ანგარიშგების თარიღში პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებასთან მიახლოებულია.

(b) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია ექვემდებარება შემდეგ რისკებს:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 13(b)(ii);
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 13(b)(iii);
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 13(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე და ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე და მისი საქმიანობების შესახებ აქციონერის რეგულარულად ინფორმირებაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილებიან ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ის ძირითადად წარმოიშვება კომპანიის სესხებიდან და კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის მიერ საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს კომპანიის კლიენტთა ბაზის დემოგრაფიულ მონაცემებს, მათ შორის იმ ინდუსტრიის ან ქვეყნის დეფოლტის რისკს, რომელშიც ფუნქციონირებს მომხმარებელი. კომპანიის მთლიანი შემოსავალი უკავშირდება გაყიდვის ოპერაციებს ერთ კლიენტთან - შპს „T and R Distribution“. გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან კონცენტრაციას ადგილი არ აქვს. კომპანია მხოლოდ ერთ კლიენტთან ახორციელებს ადგილობრივ საბითუმო გაყიდვებს.

კომპანია არ მოითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

კომპანია ადგენს გაუფასურების რეზერვს, მის მიერ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში გაწეული ზარალის მისეულ შეფასებას, გარდა დაკავშირებული პირების მიმართ არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, ანგარიშგების თარიღში, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება		
	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ადგილობრივი	450	10,648	16,217
	450	10,648	16,217

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტების მიხედვით, იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება		
	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
საბითუმო მომხმარებლები	450	10,648	16,217
	450	10,648	16,217

გაუფასურების ზარალი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადები ანგარიშგების თარიღში იყო შემდეგი:

'000 ლარი	კრედიტით	ბრუტო	გაუფასურება	ბრუტო	გაუფასურება	ბრუტო	გაუფასურება
	გაუფასურებული	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017	1 იანვარი 2017
დაბალი რისკი	არა	450	-	11,015	-	16,640	-
		450	-	11,015	-	16,640	-

დაბალი რისკი -- მსესხებელს ახლო მომავალში, გააჩნია მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების მაღალი უნარი და ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოებების მომავალში უარყოფითმა ცვლილებებმა არ არის სავარაუდო, რომ უარყოფითად იმოქმედონ მსესხებლის უნარზე დააკმაყოფილონ თავიანთი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები.

კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესში, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის გათვალისწინებით, ისინი ფიზიკური პირები არიან, თუ - იურიდიული, დამველების პროფილი, ვადიანობა და ადრე არსებული ფინანსური სირთულეები.

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად მის ადგილობრივ საბითუმო მომხმარებლებს უკავშირდება რომელთაც მრავალწლიანი სამუშაო ურთიერთობის გამოცდილება აკავშირებთ და კარგი საკრედიტო ისტორია აკავშირებთ კომპანიასთან. დაუფარავი მოთხოვნის თითქმის სრული ოდენობა იქნა მიღებული 2019 წლის განმავლობაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანია ფლობს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს 6,399 ათასი ლარის ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017 წლის 31 დეკემბერს: 410 ათასი ლარი; 2017 წლის 1 იანვარს: 9,482 ათასი ლარი), რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებას.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები დაცულია ადგილობრივ ბანკში, რომელსაც აქვთ ემიტენტის მოკლევადიანი რეიტინგი B, „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს შეფასების საფუძველზე. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ მისი კონტრაქტები ვერ დააკმაყოფილებს ნაკისრ ვალდებულებებს.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის გამოიყენება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ხელმძღვანელობა, რომ ანარიცხი ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის, 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, არ არის არსებითი.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულებების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა ეხება შესაბამისი ფულადი სახსრების ფლობას და ხელმისაწვდომ დაფინანსებას შესაბამისი საკრედიტო ხაზის ადეკვატური თანხის ოდენობით.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულია ანგარიშგების წარდგენის თარიღში ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. თანხები მოცემულია ბრუტო და არადისკონტირებულ საფუძველზე; ისინი მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების გავლენას.

31 დეკემბერი 2018

	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები			
	საბალანსო დირებულება	სულ	0-12 თვე	1-2 წელი
‘000 ლარი				
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
არაუზრუნველყოფილი სესხი				
დაკავშირებული მხარისგან	34,639	34,840	34,840	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,782	11,782	11,782	-
	46,421	46,622	46,622	-

31 დეკემბერი 2017

	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები			
	საბალანსო დირებულება	სულ	0-12 თვე	1-2 წელი
‘000 ლარი				
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
არაუზრუნველყოფილი სესხი				
დაკავშირებული მხარისგან	26,240	27,105	27,105	-
არაუზრუნველყოფილი ბანკის სესხი	8,172	8,356	8,356	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,249	9,249	9,249	-
	43,661	44,710	44,710	-

1 იანვარი 2017

	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები			
	საბალანსო დირებულება	სულ	0-12 თვე	1-2 წელი
‘000 ლარი				
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
არაუზრუნველყოფილი სესხი				
დაკავშირებული მხარისგან	34,699	37,003	9,455	27,548
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,146	14,146	14,146	-
	48,845	51,149	23,601	27,548

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მთლიანი ფინანსური შედეგები და მაჩვენებლები: კომპანიას ჰქონდა წმინდა ზარალი 2018 წლის განმავლობაში 15,202 ათასი ლარის ოდენობით; კომპანიას ჰქონდა წმინდა მიმდინარე ვალდებულებები 35,832 ათასი ლარის ოდენობის. ქვემოთ წარმოდგენილი შემამსუბუქებელი ფაქტორების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ კომპანია არ გასწევს ლიკვიდურობის რისკს მის მიერ ვადადამდგარი ვალდებულებების დაკმაყოფილების დროს და რომ არ არსებობს არსებითი უზუსტობები კომპანიის უნართან დაკავშირებით, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობის ზემოთ მითითებული დაშვება ეფუძნება შემდეგ ფაქტებს და შეფასებებს:

- მშობელმა ორგანიზაციამ 2018 წელს კომპანიას მისცა უპროცენტო სესხი 13 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ეს იმის მტკიცებულებაა, რომ არსებობს მშობელი კომპანიის განზრახვა, კომპანიას გაუწიოს საჭირო ფინანსური დახმარება. დამატებით, კომპანიამ მშობელი კომპანიისგან მიიღო ახალი სესხი 2019 წელს და არსებული სესხის დაფარვის ვადა გაიზარდა. იხილეთ მე-17 შენიშვნა.

- აქციონერები და საბოლოო მაკონტროლებელმა მხარემ გამოხატეს თავიანთი განზრახვა გაუწიან შემდგომი ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა კომპანიას ახლო მომავალში, საჭიროების შემთხვევაში, და მისცენ კომპანიას საშუალება გააგრძელოს თავისი საოპერაციო არსებობა.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები, იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკის დაქვემდებარების მართვა და კონტროლი, მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს შეუსაბამობა კომპანიის მიერ განხორციელებულ შესყიდვების და კრედიტების ვალუტებსა და მის სამუშაო ვალუტას შორის. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უმეტესად დენომინირებულია არის აშშ დოლარი.

ზოგადად, სესხები დენომინირებულია იმ ვალუტაში, რომელიც კომპანიის ქვემდებარე ოპერაციებით გენერირებულ ფულად ნაკადებს ემთხვევა. შესაბამისად, ეს არ ქმნის ეკონომიკურ ჰეჯირებას.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკზე, ნომინალური ღირებულების საფუძველზე, იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2018	აშშ დოლარში დენომინირებული 2017	აშშ დოლარში დენომინირებული 2016
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	268	69	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	227	421
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	(34,639)	(26,240)	(34,699)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,011)	(5,604)	(12,022)
წმინდა დაქვემდებარება	(37,362)	(31,548)	(46,300)

წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

'000 ლარი	ანგარიშგების			ანგარიშგების		
	წარდგენის თარიღით		საშუალო განაკვეთი	წარდგენის თარიღით		საშუალო განაკვეთი
	2018	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017	
აშშ დოლარი	2.5303	2.6766	2.5086	2.5922	2.6468	

მგრძნობელობის ანალიზი

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის კურსის 10%-იანი შესუსტება ქვემოთ ნაჩვენებების შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდიდა/(შემცირებდა) მოგებას ან ზარალს დაბეგრამდე, ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზი დაფუძნებულია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ისეთ ცვლილებაზე რომელსაც კომპანია მიიჩნევს გონივრულად შესაძლებელს, ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, მუდმივი დარჩება. ანალიზი ჩატარდა იმავე საფუძველზე 2017 და 2016 წლებისთვის ლარის კურსის 10%-იანი შესუსტების გათვალისწინებით.

’000 ლარი:	გამყარება	შესუსტება
	მოგება ან ზარალი	მოგება ან ზარალი
2018		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(3,736)	3,736
2017		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(3,155)	3,155

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება პირველ რიგში მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს კომპანია დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. ამასთან, ახალი სესხებისა და კრედიტების აღებისას ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იმის გადასაწყვეტად, უნდა იყოს თუ არა ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთი მეტად სასურველი კომპანიისთვის მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადის დადგომამდე.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

ანგარიშგების წარდგენის თარიღში, კომპანიის პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება		
	2018	2017	2016
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები			
ფინანსური ვალდებულებები	(34,639)	(8,172)	-
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები			
ფინანსური ვალდებულებები	-	(26,240)	(34,699)

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს რომელიმე ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ან გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებას ანგარიშგების წარდგენის თარიღში გავლენა არ ექნებოდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

ფულადი სახსრების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ცვლადგანაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტები.

საპროცენტო განაკვეთებში 100 საბაზისო პუნქტიანი გონივრული ცვლილება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდის/(შემცირებს) მოგებას ან ზარალს დაბეგვრამდე ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვალეადი მაჩვენებელი, კონკრეტულად, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები, უცვლელი დარჩება.

’000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	100 საბაზისო პუნქტიანი ზრდა	100 საბაზისო პუნქტიანი შემცირება
2017		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(262)	262
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა)	(262)	262

	მოგება ან ზარალი	
	100 საბაზისო პუნქტიანი ზრდა	100 საბაზისო პუნქტიანი შემცირება
'000 ლარი		
2016		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(347)	347
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა)	(347)	347

14. კაპიტალთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს კაპიტალთან დაკავშირებული რაიმე სახის პირობითი ვალდებულება (31 დეკემბერი 2017 წელი: ნული).

15. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს მისი ბიზნესის შეწყვეტის, ქონების ან გარემოზე დაზიანებასთან მიმართებაში, მესამე პირების ვალდებულებების სრული სადაზღვევო ანაზღაურება, რომელიც წარმოიშობა კომპანიის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ კომპანია არ მიიღებს სათანადო სადაზღვევო ანაზღაურებას, არსებობს რისკი იმისა, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვას ან განადგურების რისკს არსებითი ნეგატიური გავლენა ექნება კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

2017 წლის 10 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი კომპანიის წინააღმდეგ და ეს უკანასკნელი 270 მილიონი ლარით დააჯარიმა. მოსარჩელემ, „OGT“, „OMEGA Group“-ის წევრმა, კომპანია დაადანაშაულა დემპინგური ფასებისთვის. ის ამტკიცებდა, რომ კომპანიამ გაყიდა სხვადასხვა სახის თამბაქოს პროდუქტი ისეთ ფასად, რომელიც მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში პროდუქტის თვითღირებულებაზე ნაკლები იყო. მოსამართლემ სარჩელი დააკმაყოფილა. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ კომპანიას უნდა გადაეხადა კომპენსაცია „OGT“-სთვის 100.54 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. თუმცა, სარჩელი გაუქმდა აპელაციით თბილისის სასამართლოში 2017 წლის მარტის თვეში, სადაც საქმე დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ. ამის შემდეგ, „OGT“-მ გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა ამ უკანასკნელმა უარი თქვა საქმის განხილვაზე. საბოლოოდ, საქმე დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ, მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. უზენაესი სასამართლოს დადგენილების თარიღია 2017 წლის 10 ნოემბერი.

2016 წლის აპრილში, სს „თბილისის თამბაქომ“ კომპანიის და „ფილიპ მორის საქართველოს“ წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი, რომელშიც განსაზღვრულია, რომ ორივე კომპანიამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა ფასწარმოქმნის სტრატეგიებით 2013-2015 წლებში რამდენიმე ბრენდით და ამით სს „თბილისის თამბაქოს“ მიადგა ზარალი მათი გაყიდვების მოცულობის და მომგებიანობის შემცირების გზით. სს „თბილისის თამბაქომ“ მოითხოვდა ზიანის კომპენსაცია ორივე კომპანიისგან მთლიანობაში 92 მილიონი ლარის ოდენობით. ამის შემდეგ, კომპანიამ წარადგინა საპასუხო სარჩელი სს „თბილისის თამბაქოს“ წინააღმდეგ. 2017 წლის 14 თებერვალს კომპანიამ და სს „თბილისის თამბაქომ“ ხელი მოაწერეს ერთობლივ ხელშეკრულებას იურიდიული საქმეების სასამართლოდან გამოტანის შესახებ რაიმე სახის გადასახადის გარეშე. ხელშეკრულება დამოწმებულია საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 წლის 20 თებერვალს.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო საქმეთწარმოებები ან დაუსრულებელი დავები, რომლებსაც შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მაჩვენებლებზე, ან რომლებიც არ არის გაწეული ან განხილული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ მიმოხილვისთვის მომდევნო სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში, საგადასახადო წელი შეიძლება უფრო დიდი ხნის განმავლობაში დარჩეს დაუხურავი.

ამგვარმა ვითარებამ შესაძლოა წარმოქმნას საგადასახადო რისკები, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მან სათანადოდ უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანოებმა შეძლეს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

16. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედი“, რომელიც რეგისტრირებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „British American Tobacco PLC“.

„British American Tobacco PLC“ შესულია ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგში და ის აწარმოებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელ პირებთან

წამყვანი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა გასამრჯელოების კატეგორიაში:

’000 ლარი	2018	2017
ხელფასები და ბონუსები	1,857	1,200

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ პირთან

'000 ლარი	ოპერაციის ღირებულება		დაუფარავი ნაშთი	
	31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 2018	31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 2017	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიღებული მომსახურება:				
საბოლოო მაკონტროლებელი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	(7,142)	(6,729)	(4,159)	(174)
საქონლის შესყიდვა:				
საბოლოო მაკონტროლებელი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	(29,810)	(30,472)	(2,994)	(5,579)
მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხები:				
საბოლოო მაკონტროლებელი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	(7,311)	(7,839)	(34,639)	(26,240)

2018 წლის განმავლობაში, საპროცენტო ხარჯი 2,074 ათასი ლარის ოდენობით (2017 წელს: 3,271 ათასი ლარი) აღიარდა მოგებაში ან ზარალში დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებსა და კრედიტებთან მიმართებაში. საპროცენტო განაკვეთები და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხის დაფარვის ვადები განხილულია მე-11 შენიშვნაში.

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან, გარდა დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებისა (მე-11 შენიშვნა) უნდა დაიფაროს ნაღდი ფორმით ანგარიშგების თარიღის წარდგენიდან ექვსი თვის განმავლობაში.

არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი. მიმდინარე და წინა წელს არ აღიარებულა რაიმე ხარჯი უიმედო ან საეჭვო სესხებზე, დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებულ თანხებთან მიმართებაში.

17. შემდგომი მოვლენები

2019 წლის ივლისში კომპანიამ მისი პირდაპირი მშობელი კომპანიისგან ახალი სესხი აიღო 5,000 აშშ დოლარის ოდენობით და დაფარვის ვადით 2021 წლის ნოემბრამდე. 2019 წლის ივლისში არსებული სესხის დაფარვის ვადა იქნა გახანგრძლივებული 2021 წლის ნოემბრამდე.

18. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში და მათ კომპანია თანმიმდევრულად იყენებს.

კომპანიამ ვადაზე ადრე მიიღო ფასს 9 (ფინანსური ინსტრუმენტები) და ფასს 15 (ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან). ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკები წარმოდგენილია ფასს 9 და ფასს 15-ის ვადაზე ადრე მიღების საფუძველზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მაჩვენებლები, რომელთა შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მითითებულ გვერდებზე:

(a) შემოსავალი	24
(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	25
(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	25
(d) თანამშრომელთა გასამრჯელოები	25
(e) მოგების გადასახადი	25
(f) მარაგები	26
(g) ძირითადი საშუალებები	27
(h) ფინანსური ინსტრუმენტები	28
(i) კაპიტალი	30
(j) გაუფასურება	30

(a) შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დაპირებული საქონლის კლიენტისთვის გადაცემის შესახებ. შესრულების ვალდებულებების დასრულების შემდეგ, კომპანია საოპერაციო ღირებულების თანხას აღიარებს შემოსავლად, რაც არ მოიცავს მესამე მხარეების სახელით მიღებულ თანხებსა და ცვალებადი შეზღუდული გადახდების შეფასებებს, რომლებიც მიეკუთვნება ამ შესრულების ვალდებულებას.

(i) მიწოდებული საქონლის სახეობა

კომპანიის ძირითად საქმიანობაა თამბაქოს პროდუქტების რეალიზაცია საქართველოში ერთ კლიენტზე (იხილეთ შენიშვნა 1 (b)). კომპანიას ერთი შემოსავლის წყარო აქვს თამბაქოს პროდუქტების გაყიდვიდან. ფასს 15-ის ფარგლებში, შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც კლიენტი მიიღებს საქონლის ან მომსახურების კონტროლს. კონტროლის გადაცემის ვადების განსაზღვრა - კონკრეტულ დროს ან გარკვეული დროის შემდეგ - შესაძლოა მსჯელობას საჭიროებდეს, მაგრამ იმის გამო, რომ კონტროლის გადაცემა ხდება კომპანიის საწყობში ორი საათის განმავლობაში, საჭირო არ არის რაიმე სახის მსჯელობა და შემოსავალი დაუყოვნებლივ აღიარდება.

საქონლის სახეობა	ნაკისრი ვალდებულების და მნიშვნელოვანი გადახდის პირობების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები
სტანდარტული თამბაქოს პროდუქტები	კლიენტები სტანდარტული თამბაქოს პროდუქტებზე კონტროლს მოიპოვებენ მას შემდეგ, რაც საქონელს კომპანიის საწყობიდან გაიტანენ. ინვოისების გენერირება და შემოსავლის აღიარება ამ მომენტში ხდება. ინვოისები ჩვეულებრივ გადაიხდება 30 დღის განმავლობაში. შემოსავალი აღიარდება ფასდაკლების, ფასდათმობის, განტავსების ღირებულების, დამატებითი ღირებულების გადასახადის და სხვა გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე. ძირითადად თამბაქოს პროდუქტებზე ფასდაკლების შეთავაზება არ ხდება. იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც კლიენტს საქონლის დაბრუნების უფლებას აძლევს, ფასს 15-ის ფარგლებში, შემოსავალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ სავარაუდოა, რომ აღიარებული მთლიანი შემოსავლის თანხიდან მნიშვნელოვან დაბრუნებას ადგილი არ ექნება. შესაბამისად, აღიარებული შემოსავლის თანხა კორექტირდება მოსალოდნელი ამონაგების მიხედვით, რომელიც ფასდება ისტორიული მონაცემების საფუძველზე კონკრეტული ტიპის ქაღალდის, ზომის, შეფუთვის და სხვათა გათვალისწინებით. კომპანია არ ახდენს საქონლის დაბრუნებას.

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე;
- საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება მათი წარმოშობის მომენტიდან მოგებაში ან ზარალში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით, იმის მიხედვით უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება წმინდა შემოსულობის პოზიციაშია, თუ - წმინდა ზარალის.

(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების დღეს კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში, ამ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად ერთეულებზე შემოსულობა ან ზარალი უცხოურ ვალუტაში წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში ეფექტური პროცენტით და პერიოდის განმავლობაში გადახდებით დაკორექტირებულ სამუშაო ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ღირებულებასა და უცხოურ ვალუტაში ამორტიზირებულ ხარჯს შორის, რომელიც კონვერტირდება გაცვლითი კურსით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები, რომელთა ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, კონვერტირდება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) თანამშრომელთა გასამრჯელოები

თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურების ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსების ან მოგების განაწილების გეგმების საფუძველზე, თუ კომპანიას ექნება ამგვარი თანხების გადახდის მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და თუ ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იქნას შეფასებული.

(e) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებებს ან მოთხოვნებს წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, ისეთი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი ცვლილების გამოყენებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან გამომდინარე წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის ცვლილებას კონკრეტულ ოპერაციებში, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია მიიჩნევს ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ და გადასახადებს აღრიცხავს „გადასახადები, მოგების გადასახადის გამოკლებით“ კატეგორიაში.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(f) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება გამოიანგარიშება „FIFO“ პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. სააქციო გადასახადი ასევე წარმოადგენს მარაგების ღირებულების ნაწილს და ის მოიცავს ფიქსირებულ ნაწილს, რომელიც დაანგარიშდება 1.70 ლარის ოდენობით ერთ შეფუთვაზე (2017 წელს: 1.70 ლარი) და ბაჟს (ე.წ. „ად ვალორემ“), რომელიც დაანგარიშდება სიგარეტის საცალო ფასის 10%-ით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ გასაყიდ ფასს საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში, მოსალოდნელი გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

(გ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. თვით წარმოებული აქტივის თვითღირებულება მოიცავს მასალის და პირდაპირი შრომის ხარჯს, ასევე ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას, ერთეულის დემონტაჟის და ტერიტორიიდან გატანის ხარჯებსა და სამუშაო ადგილის სათანადო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს, ასევე კაპიტალიზებული სესხის ხარჯებს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ამ მოწყობილობის ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების (ძირითადი) კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვიდან მიღებული ამონაგების ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება ნეტო სახით, მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის/სხვა ხარჯების ფარგლებში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების კომპონენტების გამოცვლის ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდო იქნება, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება, და მისი ხარჯი შესაძლებელია სანდოდ იქნას შეფასებული. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური გამოყენების დანახარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევისთანავე.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო კომპანიის შიდა ძალებით დამზადებული აქტივი - მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სალიკვიდაციო ღირებულება.

ცვეთა ჩვეულებრივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი საშუალო მომსახურების ვადა მიმდინარე პერიოდში, შემდეგია:

— ავტომობილები	4 წელი;
— კომპიუტერული ტექნიკა	3-5 წელი;
— საოფისე ინვენტარი	5 წელი;
— მოწყობილობები და ინვენტარი	10 წელი.

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველ საანგარიშგებო თარიღში და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(h) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

ფასს 9 განსაზღვრავს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების აღიარების და შეფასების, ასევე რამდენიმე ხელშეკრულების მოთხოვნებს, რომლებიც ეხება არაფინანსური ერთეულების ყიდვა-გაყიდვას. ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება).

(i) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39-ის მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან და შეფასებასთან მიმართებაში. ამასთან ის აუქმებს ბასს 39-ის დაფარვამდე ფლობილი ფინანსური აქტივების, სესხებისა და მოთხოვნების და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიას.

ფასს 9-ის ფარგლებში თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება შემდეგი სახით: ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) – სასესხო ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) - კაპიტალური ინვესტიცია ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით (FVTPL). ფასს 9-ის ფარგლებში ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ზოგადად ეფუძნება ბიზნეს მოდელს, რომელშიც იმართება ფინანსური აქტივი და ასევე მის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და რომელიც არ განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით:

- ის შესულია ბიზნეს მოდელში, რომლის მიზანს წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდას.

შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკები გამოიყენება ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასებისას.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	ეს აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით (იხილეთ პარაგრაფი (ii) ქვემოთ). საპროცენტო შემოსავალი, უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი და გაუფასურება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
სასესხო ინვესტიციები, რომლებიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	ეს აქტივები შემდგომში სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი, უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა წმინდა შემოსულობა და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. აღიარების შეწყვეტისას, სხვა სრულ შემოსავალში დაგროვილი შემოსულობა და ზარალი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფასს 9-ის მიღების გავლენა ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე 2017 წლის 1 იანვარს ერთპიროვნულად უკავშირდება გაუფასურების ახალ მოთხოვნებს, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ში არსებულ 'გაწეული საკრედიტო ზარალის' მოდელს, მომავალზე ორიენტირებული 'მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის' მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ეხება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებსა და სახელშეკრულებო აქტივებს. ფასს 9-ის ფარგლებში, საკრედიტო ზარალი უფრო ადრე აღიარდება, ვიდრე ბასს 39-ის ფარგლებში.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

ფასს 9-ის ფარგლებში, ზარალის რეზერვები შეფასდება ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთის საფუძველზე:

- 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის მოვლენებიდან; და
- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევიდან;

კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება სავაჭრო მოთხოვნებისთვის ზარალის რეზერვები შეეფასებინა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

იმის განსაზღვრისას, ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ და ასევე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას, კომპანია ითვალისწინებს იმ გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება და ხელმისაწვდომია არაგონივრული ხარჯის ან მცდელობების გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციასა და ანალიზს, ასევე კომპანიის ისტორიულ გამოცდილებასა და საკრედიტო შეფასების საფუძველზე გაკეთებულ ანალიზს და მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციას.

კომპანია მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი ფინანსურ აქტივზე მნიშვნელოვნად გაიზარდება, თუ მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტირებულად მიიჩნევს, როდესაც:

- კლიენტი ვერ შესძლებს საკრედიტო ვალდებულებების გადახდას კომპანიისთვის სრული ოდენობით, კომპანიის მიერ ისეთი ქმედებების განხორციელების გარეშე, როგორიც არის უზრუნველყოფის გაყიდვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია;

მაქსიმალური გათვალისწინებული პერიოდი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას წარმოადგენს ისეთ მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია საკრედიტო რისკს ექვემდებარება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის ალბათობაზე დაფუძნებულ შეწონილ შეფასებას. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დეფიციტის მიმდინარე ღირებულების სახით (ე.ი. როგორც სხვაობა ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოს მიმართ მართებულ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების წარდგენა

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვი დაიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

(i) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის იურიდიული ფორმაა უცხოური კომპანიის ფილიალი, შესაბამისად ის არ ფლობს საწესდებო კაპიტალს.

დამატებითი შენატანი კაპიტალში

კაპიტალში დამატებითი შენატანის ზრდაზე/კლებაზე მოქმედებს სესხების მიღება დაკავშირებული მხარეებისგან საბაზრო განაკვეთებისგან განსხვავებული განაკვეთით, იმ მესაკუთრეების ვალდებულებების პატივით, რომლებიც მოქმედებენ მესაკუთრეების უფლებამოსილებით, და ქმედებით, რომელიც იწვევს სესხის პირობების არსებით მოდიფიცირებას.

დაკავშირებული მხარეებისგან ბაზარზე მოქმედი განაკვეთისგან განსხვავებული საპროცენტო განაკვეთით მიღებული სესხების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც ბაზრის განაკვეთის გამოყენებით დისკონტირდება. სხვაობა პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც ასახულია ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ კომპანიის სავალდებულო ფინანსურ ანგარიშგებაში.

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილებას.

(j) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები, რომელიც არ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით, ყოველი ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის ფასდება იმის დასადგენად არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა მისი გაუფასურება, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ იმ შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის (სასესხო ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

- მოვალის მხრიდან ვადაგადაცილება ან დეფოლტი;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისაზაცია ისეთი პირობით, რომელსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- ნიშნები იმისა, რომ მოვალე ან ემიტენტი გაკოტრდება;
- მსესხებლების ან ემიტენტების გადახდის სტატუსის უარყოფითი ცვლილება კომპანიაში;
- ეკონომიკური პირობები, რომელიც გადაუხდელობას იწვევს.
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს შეფასებად კლებას ფინანსური აქტივების ჯგუფიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებში.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ყოველი ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან (CGU).

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას აღემატება.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგების ზარალის უწყისში. ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი პირველ რიგში გადანაწილდება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ერთეულებზე (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფზე) გადანაწილებული ნებისმიერი გუდვილის საბალანსო ღირებულების შესამცირებლად და შემდეგ ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ერთეულებში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულების პროპორციულად შესამცირებლად.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო დღეს ნებისმიერი მინიშნებისათვის იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან უკვე აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

20. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და კორექტირებები სტანდარტებში, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. უფრო ადრეული მოხმარებაც ნებადართულია. თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა ეს ცვლილებები მიღებული მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

ფასს 16 ანაცვლებს არსებულ საიჯარო სახელმძღვანელოს, ბასს 17 იჯარების ჩათვლით, ფასიკ 4 - შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას, იმკ-15 - საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და იმკ-27 - გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.

სტანდარტი ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის 2019 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გამოყენება ნებადართულია. ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით ფასს 16-ს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მისი თავდაპირველი გამოყენების პერიოდში.

ბრიტიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს,
თბილისის წარმომადგენლობა

2018 წლის
მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

საქმიანობის მიმოხილვა	3
წლის მნიშვნელოვანი მოვლენები	4
თამბაქოს სექტორის მიმოხილვა	6
ძირითადი სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაცია	7
ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	9
რისკები და გაურკვევლობები	10

საქმიანობის მიმოხილვა

ბრიტიშ ამერიკან თობაკო ჯორჯია ლიმიტედი, საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობა (ბრიტიშ ამერიკენ თობაკო ლიმიტედის, კომპანია, დარეგისტრირებული ინგლისსა და უელსში, შემდეგ მისამართზე – გლობ ჰაუსი, 1 უოთერ სტრიტი, ლონდონი CH2R 3A სარეგისტრაციო ნომრით 4067494) დარეგისტრირებული და მდებარე შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი 0186, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, ბლოკი 1, მე-4 სართული, ოფისი #21, ს/კ: 211401160 (შემდგომში „კომპანია“) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თამბაქოს, კერძოდ სიგარეტის იმპორტი და რეალიზაცია საქართველოს ბაზარზე.

კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „British American Tobacco PLC“. ეს უკანასკნელი ლონდონის საფონდო ბირჟის წევრია, დაფუძნებულია და მდებარეობს გაერთიანებულ სამეფოში.

ბრიტანულ ამერიკული თამბაქო წარმოდგენილია მსოფლიოს 200 ქვეყანაში. მისი რეგიონალური მმართველობითი დანაყოფებია: ევროპა და ჩრდილო აფრიკა, აზია წყნარი ოკეანის და შუა აღმოსავლეთი ტერიტორიები, კონტინენტალური ამერიკა.

2017 წლის განმავლობაში ბრიტანულ ამერიკულმა თამბაქომ შეისყიდა ასევე მულტინაციონალური თამბაქოს კომპანია რეინოლდს ამერიკანის აქციების სრული პაკეტი (დარჩენილი 57.8%), რის შედეგადაც განიმტკიცა პოზიციები ამერიკის შეერთებულ შტატებში როგორც თამბაქოს ისე ახალი თაობის თამბაქოს პროდუქტების ბაზარზე.


ბრიტანულ ამერიკული თამბაქოს გლობალური სტრატეგიული პორტფელი მოიცავს შემდეგ სიგარეტის ბრენდებს:

- Dunhill
- Kent
- Lucky Strike
- Rothmans
- Pall Mall
- PRRP (Potentially Reduce Risk product)

აქედან ოთხი (Kent, Lucky Strike, Rothmans & Pall Mall), წარმოდგენილია საქართველოს ბაზარზე.

წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

იანვარი - თამბაქოს პროდუქტი წარმოადგენს მკაცრად რეგულირებად პროდუქტს რომელიც ექვემდებარება არაერთ საკანონმდებლო რეგულაციას და საგადასახადო ბეგარას. 2017 წლის აქციზის ფიქსირებული განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილების შემდგომ (ფილტრიან სიგარეტზე აქციზი 60 თეთრით, ხოლო უფილტროზე 30 თეთრით გაიზარდა), საგადასახადო ტვირთი თამბაქოს მწარმოებლებისა და იმპორტიორებისთვის არ შეცვლილა. 2018 წლის 27 დეკემბერს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება რომ 2019 წლის 1 იანვრიდან ადვალური გადასახადი თამბაქოს ნაწარმზე გაიზარდება და გახდება ფილტრიანზე სარეალიზაციო ფასის 30% ხოლო უფილტროზე 10%. ასევე მომავალი წლების განმავლობაში მოსალოდნელია აქციზის განაკვეთის ზრდა ვინაიდან ასოცირების ხელშეკრულებით, საქართველომ აიღო ვალდებულება დანერგოს ევროკავშირის 2011 წლის 21 ივნისის 2011/64/EU დირექტივა. დირექტივის მიხედვით მე-10 მუხლის შესაბამისად, სიგარეტზე აქციზურმა გადასახადმა საქართველოში გარკვეული პერიოდის (სავარაუდოდ 7-10 წელი) შემდეგ უნდა შეადგინოს საშუალო შეწონილი ფასის არანაკლებ 60%, მაგრამ არანაკლებ 90 ევროს 1000 ლერ სიგარეტზე.



იანვარი - კომპანიამ ახალი ბრენდის, **KENT NANO 3.5** -ის, იმპორტირება და რეალიზაცია დაიწყო საქართველოს ბაზარზე.

იანვარი - კომპანიამ თავისი სტრატეგიული მიზნების რეალიზაციისათვის გადაწყვიტა პორთველში არსებულ ყველა ბრენდის სიგარეტზე ფასების 10 თეთრით ზრდა.

აპრილი - კომპანიამ მომხმარებელს ახალი სიგარეტის სახეობა **KENT TUBE** წარუდგინა.

მაისი - საქართველოს პარლამენტის „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის შესაბამისად ამოქმედდა შემდეგი რეგულაციები :

- 2018 წლის პირველი მაისიდან თამბაქოს მოწვევა აიკრძალა ყველა დახურულ სივრცეში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.
- 2018 წლის პირველი მაისიდან აიკრძალა მარკეტინგული/პრომო აქტივობების ჩატარება. ასევე, სიგარეტის კომპანიების მხრიდან სხვადასხვა ღონისძიებების დასპონსორება.

ივნისი - ბაზარზე არსებული სიგარეტის ბრენდების უმრავლესობაზე სამომხმარებლო ფასები გაიზარდა 10 თეთრით.

სექტემბერი - 2018 წლის პირველი სექტემბრიდან აიკრძალა თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაცია და განლაგება ვიტრინაზე, ვიტრაჟზე, დახლზე, თაროზე ან სხვაგვარად ისე, რომ იგი ხილვადი იყოს შესაბამისი ობიექტის გარედან.


2018 წლის პირველი სექტემბრიდან აიკრძალა თამბაქოს ნაწარმის ან თამბაქოს აქსესუარის რეალიზაცია შესაბამისი ობიექტიდან მისი სატრანსპორტო საშუალებაში უშუალო მიწოდებით - ე.წ. „დრაივ თამბაქო“.

გარდა ამისა იგეგმება თამბაქოს კონტროლის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად შემდეგი რეგულაციების ამოქმედება :

- 2019 წლის პირველი იანვრიდან სავალდებულო ხდება სიგარეტის კოლოფზე თამბაქოს მოხმარების შედეგად გამოწვეული დაავადებების ფოტოების, ე.წ. პიქტოგრამების დატანა.
- 2022 წლის დეკემბრიდან საქართველოს თამბაქოს ინდუსტრია გახდება ერთ-ერთი ყველაზე მკაცრად რეგულირებადი სფერო. სავალდებულო ხდება სიგარეტის სტანდარტიზებული შეფუთვით რეალიზაცია.

ოქტომბერი - ქართული ლარის აშშ დოლართან მიმართებაში მკვეთრი გაუფასურება.

ოქტომბერი - სამომხმარებლო ფასების შემდგომ ზრდას 10 თეთრით.



ძირითადი სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაცია

მომხმარებელი ბრიტანულ ამერიკული თამბაქოს მთავარ ღირებულებას წარმოადგენს. ჩვენი წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მათ პრეფერენციებზე, სურვილებსა და ქცევაზე. შესაბამისად, კომპანიას ჩამოყალიბებული აქვს პრიორიტეტული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები, რომელთა რეალიზაციაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა მოლოდინთან თანხვედრას. ეს მიზნები და მიმართულებებია:

- ზრდა - პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის მუდმივი განვითარება. 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ მომხმარებელს ორი ახალი ბრენდი შესთავაზა (**KENT NANO 3.5**, **KENT TUBE KS**), რითაც კიდევ უფრო გაზარდა ასორტიმენტი სიგარეტის ბაზარზე. მთლიანობაში, ბოლო 5 წლის განმავლობაში 20-ზე მეტი ახალი პროდუქტი იყო შემოტანილი საქართველოში ბრიტანულ ამერიკული თამბაქოს მიერ.
- კომპანიის მიზანი კვლავაც რჩება პროდუქციის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესება, შესაბამისად მომდევნო წლების განმავლობაში იგეგმება უახლესი ტექნოლოგიებით წარმოებული ახალი სიგარეტების შემოტანა და რეალიზაცია საქართველოს ბაზარზე.
- პროდუქტიულობა - ბრიტანულ ამერიკული თამბაქო გლობალური კომპანიაა, რომელიც ერთგვაროვან პროცესებსა და სისტემებს იყენებს მსოფლიოს მასშტაბით ორგანიზაციის უფრო


ეფექტური ფუნქციონირებისთვის. გლობალური ინტეგრაცია უზრუნველყოფს ყველაზე დაბალ შესაძლო ზედნადებ ხარჯებს, ეფექტურ მიწოდების ქსელსა და გამოცდილების გაზიარების მარტივ მექანიზმებს. ბრიტანულ ამერიკული თამბაქოს საქართველოს წარმომადგენლობა საერთაშორისო ქსელის ნაწილია და სარგებლობს ყველა იმ უპირატესობით, რომელსაც ეს წევრობა აძლევს.

თავის მხრივ, კომპანიის მენეჯმენტის მიერ არსებული საინვესტიციო რესურსების ეფექტური გადანაწილება ბრენდებს შორის, უზრუნველყოფს სწორად შერჩეული პორტფელის შეთავაზებას ქართველი მომხმარებლისათვის.


- სტაბილურობა - პირველი ორი მიმართულების ეფექტური განხორციელება საშუალებას აძლევს კომპანიას უზრუნველყოს სტაბილური ფინანსური განვითარება და გრძელვადიანი გეგმების განხორციელება.
- პერსონალის განვითარება - ჩვენი ფილოსოფიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია თანამშრომლების განვითარებაზე ზრუნვა. სწორედ ამიტომ, 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ პერსონალს სხვადასხვა ტიპის სასწავლო პროგრამა შესთავაზა, რომელიც მიმართული იყო მათი მენეჯერული, პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების დონის ამაღლებაზე.

თამბაქოს სექტორის მიმოხილვა

ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე აქციზის განაკვეთში მნიშვნელოვანმა განსხვავებამ გამოიწვია ფასებს შორის სხვაობის ზრდაც. მაგალითად, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სხვაობამ ბრიტანულ ამერიკული თამბაქოს ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ფასიან ბრენდ Pall Mall KS-სა და უფილტრო სიგარეტების საშუალო საშომხარებლო ფასს შორის 1.0 ლარი იყო. 2017 წლის დასაწყისში იგივე მონაცემმა 1.1 ლარი შეადგინა, ხოლო 2018 წელს კი 1,3 გახდა.




ფასთა შორის სხვაობის ზრდამ გავლენა მოახდინა მოთხოვნის ფორმირებაზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ თამბაქოს ინდუსტრიაზე გაცემული აქციზური მარკების სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში უფილტრო სიგარეტის მოხმარება მზარდია. 2015 წელს სულ 25.6 მილიონ კოლოფ უფილტრო სიგარეტზე გაიცა აქციზური მარკა, 2017 წელს ამ რიცხვმა 79 მილიონ კოლოფს მიაღწია, ხოლო 2018 წელს ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა და 116 კოლოფი შეადგინა. კლებადია ტრენდი ფილტრიანი სიგარეტის მოხმარებაზე. 2015 წლის 450 მილიონი კოლოფიდან მოხმარება 2017 წლისთვის 318 მილიონამდე, ხოლო 2018 წლისათვის კი 268 მილიონამდე შემცირდა.



ფასების ზრდამ მეზობელი ქვეყნებიდან კონტრაბანდის ინიციატივა გაზარდა.

საქართველო ლიდერია რეგიონში სიგარეტზე ფასების ზრდის ტემპით. მაგალითად, 2015 წლის მონაცემებით, ჩვენ მეზობელ სომხეთში ერთი კოლოფი სიგარეტის საშუალო სამომხმარებლო ფასი იყო 1.71 ლარი (ეროვნულ ვალუტაში ფასის გამოსათვლელად გამოყენებულია შესაბამისი წლის საშუალო გაცვლითი კურსი). იგივე მაჩვენებელი საქართველოში შეადგენდა 2.26 ლარს. 2017 წლისთვის საქართველოში სიგარეტის საშუალო ღირებულება გაიზარდა 0,64 ლარით, სომხეთში ზრდა მხოლოდ 0,38 ლარი იყო, რაც შეეხება 2018 წელს სომხეთში სიგარეტის საშუალო ღირებულება არ შეცვლილა და დაფიქსირდა 2.09 ლარი მაშინ როდესაც საქართველოში 3.1 ლარი გახდა.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი საბაჟო კონტროლისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის პირობებში თამბაქოს ბაზარზე კონტრაბანდული პროდუქციის შემოდინება და უკანონო ვაჭრობა მინიმალურ დონეზეა დაყვანილი.



ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია თავისი ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად შემდეგი ტიპის მაჩვენებლებს იყენებს:

- ლიკვიდურობას
- ფინანსური მდგრადობას

ლიკვიდურობის მაჩვენებლები

	2017	2018
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,56	0,46
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,24	0,11

ბრიტანულ ამერიკული თამბაქოს ძირითადი საქმიანობა არ მოიცავს პროდუქციის ადგილობრივად წარმოებას. შესაბამისად, კომპანია არ ფლობს ძვირადღირებულ მანქანა-დანადგარებს და მისი გრძელვადიანი აქტივები მინიმალურ დონეზეა, რაც თავის მხრივ განაპირობებს მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტების საკმაოდ დაბალ მაჩვენებელს.

ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

	2017	2018
ვალდებულებების თანაფარდობა აქტივებთან	1,72	2,11
სასესხო თანხების თანაფარდობა აქტივებთან	1,14	1,11

2018 წლისთვის სასესხო ვალდებულებების თანხა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ხოლო აქტივების რაოდენობა გაიზარდა, რომელიც ძირითადად განპირობებულია მარაგების რაოდენობის ზრდით. შესაბამისად, ვალდებულებების აქტივებთან თანაფარდობა მცირედით გაიზარდა და სასესხო თანხების თანაფარდობის კოეფიციენტი კი შემცირდა.

ფინანსური თვალსაზრისით რთული წლის მიუხედავად კომპანიამ ღირსეულად დაძლია ყველა სიმძნელე, შეასრულა ბიზნეს გეგმის უდიდესი ნაწილი და განახორციელა ყველა თავისი დაგეგმილი პროექტი. შესაბამისად, 2019 წლისთვის, არსებული ეფექტური სისტემებისა და მართვის, მკაცრი ფინანსური კონტროლის პირობებში მოსალოდნელია პოზიტიური ტრენდი კომპანიისთვის.

რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად აკვირდება იმ ფაქტორებს/რისკებს, რომლებმაც უახლოეს მომავალში შეიძლება გავლენა იქონიოს ორგანიზაციის განვითარების ტემპებზე. ეს ფაქტორები/რისკები ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფა:

- პოლიტიკური

- ეკონომიკური
- სოციალური
- ტექნოლოგიური
- ფინანსური

პოლიტიკური რისკები

- ❖ ცვლილებები დარგის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში
- ❖ აქციზის მნიშვნელოვანი ზრდა ან ცვლილებები გადასახადის სტრუქტურაში
- ❖ გეოპოლიტიკური დამაბულობა და კონფლიქტი რუსეთთან ოკუპირებულ ტერიტორებთან დაკავშირებით

ეკონომიკური რისკები

- ❖ ფასების ზრდით გამოწვეული მოთხოვნის შემცირება ან მომხმარებლის მიერ არჩევანის გაკეთება უფრო იაფ პროდუქციაზე
- ❖ დარგში კომპანიის განვითარებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს კონკურენტული გარემოს განვითარება
- ❖ უკანონო ვაჭრობის წილის ზრდა
- ❖ ეროვნული ვალუტის გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებაში
- ❖ ინფლაციის მაღალი დონე

სოციალური რისკები

- ❖ მსოფლიოს მასშტაბით არსებული პოლიტიკა მიმართული თამბაქოს ნაწარმის წინააღმდეგ და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა კამპანია
- ❖ სიღარიბის დონე და მომხმარებლის მყიდველუნარიანობის შემცირება
- ❖ მზარდი ფასების ელასტიურობა სიგარეტის ბაზარზე

ტექნოლოგიური რისკები

- ❖ ჩამორჩენა კონკურენტებთან ახალი პროდუქციის განვითარებასა და კომერციალიზაციაში, სრულიად ახალი პროდუქტების მომხმარებელისთვის დროულად შეთავაზებაში

ფინანსური რისკები

- ❖ საკრედიტო რესურსი, ლიკვიდურობა, ფულადი სახსრების მართვა და მასთან დაკავშირებული რისკები

კომპანია ფულადი სახსრების მართვას ახორციელებს ბრიტანულ ამერიკულ თამბაქო ჯგუფის არსებული გლობალური სახაზინო პროცედურების სრული შესაბამისობით.

❖ შიდა პროცედურები და ზემოთ აღწერილი ფინანსური რისკის მართვის გეგმა

ბრიტანულ ამერიკული თამბაქო ჯგუფის გლობალური სახაზინო პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახორციელებს ფულადი სახსრების შემოსავლების და ხარჯების დაგეგმარებას ყოველთვიურად.

არსებობს ფულადი სახსრების მოძრაობის როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი გეგმა.

მოკლევადიანი გეგმის შესრულება და კონტროლი ხდება ყოველდღიურ რეჟიმში სადაც ყველა გადახრა ანალიზდება და შესაბამისი კორექტირებები შედის განახლებულ გეგმაში.

გრძელვადიანი გეგმა გადაიხედება ყოველთვიურად, დამატებითი სახსრების საჭიროების შემთხვევაში ხდება ჯგუფის ცენტრალურ ხაზინასთან კომუნიკაცია და დაკრედიტების მექანიზმების განსაზღვრა, რაც შეიძლება მოიცავდეს შიდა ჯგუფის ფინანსურ რესურსს ან ადგილობრივ ბაზარზე არსებული ძირითადი პარტნიორი ბანკის საკრედიტო პროდუქტებს.

კომპანიის ყველა რგოლი აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ ფაქტორების შეფასებაში და საპასუხო ქმედებების დაგეგმვაში, რომელიც საშუალებას მისცემს ორგანიზაციას შეასრულოს მისი ძირითადი ამოცანა: უდანაკარგო საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგების და მდგრადი ფულადი ნაკადების მიღება.

მომდევნო წლებში კომპანიის მენეჯმენტი უპრიველეს ყურადღებას დაუთმობს ამ რისკებზე საპასუხო გეგმების განვითარებას, მომგებიანობის ამაღლებას, ასევე ბაზარზე მდგრადი, საიმედო და კონკურენტუნარიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელი:



/კატერინა კუჩალსკა/

კორპორატიული ფინანსური მენეჯერი:



/ირაკლი ბაიადე/